

AN INVARIANT OF THE CONCEPT OF THE LITERARY HERO: THE WAR NARRATIVE

ლიტერატურული გმირის კონცეპტის ინვარიანტი: ომის ნარატივი

Mariam Miresashvili

Doctor of Philological Sciences,
Professor of Sokhumi State University,
A.Politkovskaia 61, Tbilisi, 0186, Georgia,
+995577170705, m.miresashvili@gmail.com
<https://orcid.org/0000-0001-5277-5762>

Abstract. Georgian literature assigned the *hero* a mission of solving urgent problems (social, political, religious, moral...) and assumed responsibility for the ongoing processes; the *hero*, by overcoming huge obstacles, sometimes even at the cost of his/her own life, would establish a way of life beneficial to the society and uphold values of high moral standard. Therefore, the *heroic* character was revealed, on the one hand, by the act of self-sacrifice, and on the other hand, by setting a moral example. Thus, the notion of *heroic* character underwent certain changes in the sixteen-century-long Georgian literature - from the Middle Ages to the era of postmodernism. Each era offered its moral standard, which would change with time, and, therefore, the moral hero would align with it. That is why there is no general, universal definition of a *positive, ideal hero* even today, nor can it exist. Taking into consideration that within the last three decades, the "theatre of war" has become almost an everyday occurrence for Georgian reality, it has become a subject of debate in modern Georgian literature as to what are the different versions of the concept of a literary hero within the war narrative. In this article, we analyze the stories of modern Georgian writers - Giorgi Sosiashvili, Guram Odisharia and Mikho Mosulishvili; their stories illustrate the inner world of a person, their conscious and unconscious layers in an unadorned way at the most difficult moment for a human - while making a choice between life and death. According to the concept of the analyzed works, heroes still exist today; oftentimes they cannot be distinguished in society, and only in an extreme situation (in this specific case, in war conditions) their true face is revealed. The stories of Giorgi Sosiashvili, Guram Odisharia and Mikho Mosulishvili encourage the reader to understand what qualities determine the preservation of the personal profile and their humanity in the inhuman conditions of war or in the time of severe crisis; they give the reader an opportunity to understand the importance of general concepts in the life of society (spirituality, moral debt, self-awareness, courage) as well as outline the connection with the history of the past.

Keywords: The concept of a literary hero, notion of a heroic character, war narrative, war as an extreme situation, a hero of the "theatre of war".

მარიამ მირესაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ა. პოლიტკოვსკაიას 61, 0186, ქ. თბილისი, საქართველო,
+995577170705, m.miresashvili@gmail.com
<https://orcid.org/0000-0001-5277-5762>

აბსტრაქტი. ქართულმა სალიტერატურო სივრცემ *გმირს* იმთავითვე დააკისრა საჭირბოროტო პრობლემების (სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური, ზნეობრივი...) გადაწყვეტის მისია, პასუხისმგებლობა მიმდინარე პროცესებზე და *გმირიც*, უდიდესი წინააღმდეგობების გადალახვის გზით, ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი, ამკვიდრებდა საზოგადოებისთვის სასარგებლო ცხოვრების წესს, მაღალი ზნეობრივი ღირებულების მქონე ფასეულობებს. ამიტომაც, *გმირული* მუღავნდებოდა, ერთი მხრივ, თავგანწირვისა და მსხვერპლშეწირვის ქმედებით, ხოლო მეორე მხრივ - ზნეობრივი მაგალითის მიცემით. ამდენად, *გმირულის* ცნებამ გარკვეული ცვლილება განიცადა თექვსმეტსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში - შუასაუკუნეებიდან ვიდრე პოსტმოდერნიზმის ეპოქამდე; ყოველი ეპოქა თავის ზნეობრივ მოდელს გვთავაზობდა, რომელიც დროის კვალდაკვალ იცვლებოდა, ხოლო ზნეობრივი გმირი მას შეესატყვისებოდა. ამიტომაც, *დადებითი, იდეალური გმირის* საყოველთაო, უნივერსალური დეფინიცია დღესაც არ არსებობს და არც შეიძლება, რომ არსებობდეს. იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ქართული რეალობისთვის „ომის თეატრი“ ლამის, ყოველდღიურობად იქცა, თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც გააქტიურდა მსჯელობა პრობლემაზე, თუ როგორია ლიტერატურული გმირის კონცეპტის ინვარიანტი ომის ნარატივში. სტატიაში ვაანალიზებთ თანამედროვე ქართველი მწერლების - გიორგი სოსიაშვილის, გურამ ოდიშარიასა და მიხომოსულიშვილის - მოთხრობებს, რომელთა სიუჟეტი წარმოადგენს ერთგვარ ფონს პიროვნების შინაგანი სამყაროს, მისი ცნობიერი და არაცნობიერი შრეების შეულამაზებლად წარმოსაჩენად ადამიანისთვის ყველაზე რთულ მომენტში - სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არჩევნის გაკეთებისას. ვაანალიზებულ ნაწარმოებთა კონცეფციის თანახმად, გმირები დღესაც არსებობენ; მათ ხშირად ვერ გამოარჩევენ საზოგადოებაში და მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში (კონკრეტულ შემთხვევაში, ომის პირობებში) ვლინდება მათი ჭეშმარიტი სახე. გიორგი სოსიაშვილის, გურამ ოდიშარიასა და მიხომოსულიშვილის მოთხრობები მკითხველს უბიძგებს იმ პრობლემის გასააზრებლად, თუ რა თვისებები განაპირობებს პიროვნული პროფილის, ადამიანობის შენარჩუნებას ყოვლად არაადამიანურ, ომის პირობებში, მძიმე განსაცდელის ჟამს; შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, გაიაზროს საზოგადოების ცხოვრებაში არა მხოლოდ ზოგადადამიანური ცნებების - სულიერება, მორალური ვალი, თვითშეგნება, ვაჟკაცობა - მნიშვნელობა, არამედ გამოკვეთოს გარდასულ დროთა ისტორიასთან კავშირიც.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურული გმირის კონცეპტი, გმირულის ცნება, ომის ნარატივი, ომი როგორც ექსტრემალური სიტუაცია, „ომის თეატრის“ გმირი.

შესავალი. ცნობილია, რომ ლიტერატურა ძალზე სენსიტიურად რეაგირებს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებზე, აყალიბებს ახალ გამომსახველობით ფორმებსა და ჟანრებს, პოულობს და ამკვიდრებს ახალ ფერებსა და ინტონაციებს შემოქმედებითი ჩანაფიქრის სრულყოფილად წარმოსაჩენად; ამდენად, ლიტერატურულ ნაწარმოებთა თემები და პრობლემები, მოტივები და სიუჟეტები, ლიტერატურული სუბიექტები (გმირი, პერსონაჟი, ხასიათი, ტიპი, პროტოტიპი...) და სხვ. ვარიაციული ცვლილებებით გადადის ერთი ლიტერატურული ეპოქიდან მეორეში. ზემოაღნიშნული მიემართება ლიტერატურული გმირის პრობლემასაც, რადგან ყოველი ლიტერატურული ეპოქა, მისი თანამდევი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ცვლილებების ფონზე, მოასწავებს ახალი ლიტერატურული გმირის დაბადებას; ყოველ ეპოქას ხომ თავისი წარმოდგენა აქვს გმირზე, როგორც ლიტერატურულ სუბიექტზე.

აღსანიშნავია, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში V საუკუნიდან მოყოლებული, ჰეგელის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, მეტწილად, *მსახურების ჰეროიკის* გამოვლენას ვხვდებით, ანუ, როდესაც გმირს ამოძრავებს სამშობლოს სამსახურის, ქვეყნის გადარჩენისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის სურვილი. თუმცა, XIX საუკუნეში ვაჟა-ფშაველამ *მსახურების ჰეროიკასთან* ერთად („ბახტიონი“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“...), შემოგვთავაზა *ზნეობრივი ჰეროიკის* მაგალითებიც (ალუდა, ჯოყოლა, მინდია). გასული საუკუნის დასაწყისში მოდერნიზმმა სუბიექტურობაზე ორიენტირებული გმირის მოდელი წარმოაჩინა; რაც შეეხება ქართული მწერლობის საბჭოთა პერიოდს, მთავარი გმირის ქმედება მკაცრად განსაზღვრულ წესებს ექვემდებარებოდა: ზრუნვა აღმშენებლობისთვის, „ძველ“ ზნეობრივ პოსტულატებზე უარის თქმა, ახალი მორალური ორიენტირების მონიშვნა და ა.შ. ცხადია, „ახალი დროის“ გმირი ამას ახორციელებდა მხოლოდ პარტიისა და კოლექტივის დირექტივების გათვალისწინებით, ყოველგვარი შინაგანი გრძნობებისა და მისწრაფებების იგნორირების ხარჯზე, რაც ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი ხდებოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეპოქების, სოციალურ-პოლიტიკური სისტემების, პოლიტიკური კატაკლიზმების შესაბამისად სახეცვლილებას განიცდის წარმოდგენა გმირსა და გმირულ ხასიათზე.

დამატებითი ღირებულებები და მოთხოვნები ემატება გმირის კონცეპტს ექსტრემალურ, კერძოდ - საომარი მოქმედებების პირობებში. ცნობილია, რომ ომის თემა უხსოვარი დროიდან იპყრობდა მწერლების ყურადღებას; ომს ეძღვნება დასავლური ლიტერატურის ისტორიის უძველესი ტექსტი - ჰომეროსის „ილიადა“, რომელშიც ავტორმა ტროას ომის ათწლიანი პანორამული სურათი წარმოაჩინა; ასევე, ანტიკური რომის ცნობილი პოეტის, ვერგილიუსის, ეპიკური პოემა „ენეიდა“. ომის თემამ მიიზიდა (და ახლაც იზიდავს) სხვადასხვა ლიტერატურული ეპოქებისა და სტილის მქონე მწერლები, რომლებმაც თავიანთი მსოფლმხედველობის კვალდაკვალ, ომის პირობებში ადამიანური ბუნების განსხვავებულ ასპექტებზე გაამახვილეს ყურადღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოდ მიგვაჩნია საკითხის გარკვევა, თუ ვის წარმოაჩენენ გმირად თანამედროვე ქართველი მწერლები - გიორგი სოსიაშვილი, გურამ ოდიშარია და მიხო მოსულიშვილი - ომის თემაზე შექმნილ ნარატივში.

მეთოდები. საანალიზო მოთხოვნების კვლევა, ძირითადად, წარვმართეთ კომპარატივისტული მეთოდით; შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი დაგვჭირდა გასაანალიზებელი ტექსტების დაჯგუფება-დანაწევრებისთვის, მოძიებული მასალის დახარისხებისთვის, რის საფუძველზე საკვლევი პრობლემის ძირითადი, ზოგადი და კონკრეტული საკითხები შევაჯამეთ. ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება დაგვეხმარა ჩვენი საბაზისო თეზის წარმოსაჩენად, რომ ნებისმიერი ქვეყნის ცხოვრებაში ომი კოლექტიურ ტრავმად მოიაზრება, რადგან იგი კარდინალურად ცვლის ერის

პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრების ფუნდამენტურ პრინციპებს, არღვევს ადამიანთა შორის არსებულ კავშირებს, ასუსტებს სოციალურ ერთობას. ომისა და გმირის პრობლემა დღემდე რჩება მწერლებისთვის ერთ-ერთ გამოწვევად, მარადიულ თემად; და ეს გასაკვირი არ არის - ომში ხომ ყოველი ადამიანის ჭეშმარიტი არსი ვლინდება: არის ის პატრიოტი თუ მოღალატეა, მშიშარაა თუ გაბედული, შეუძლია გმირული საქციელის ჩადენა თუ ლაჩარია. ამდენად, ომის ნარატივში (კერძოდ, ჩვენ მიერ გაანალიზებულ მოთხრობებში) მწერლები ხშირად ახლებურად მოიაზრებენ და წარმოაჩენენ *გმირის/გმირობის პრობლემას*, რომელიც პერმანენტულად წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს ლიტერატორების აქტუალური მსჯელობის საგანს.

შედეგები და მსჯელობა. შევნიშნავთ, რომ ომის თემატიკა თანამედროვე ქართულ მწერლობაში „ომის თეატრის“ გააქტიურებასთან ერთად დამკვიდრდა (ვგულისხმობთ გასული საუკუნის 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზურ შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი რუსი სამხედროები, კაზაკების სამხედრო გაერთიანებები და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები; ამავე, 1990-იანი წლებიდან, გააქტიურდნენ ოსი სეპარატისტები, რასაც მოყვა პერმანენტული დაპირისპირებები შიდა ქართლში და მისი ბოლო აკორდი - 2008 წლის აგვისტოს ომის სახით). ცხადია, ზემოაღნიშნული *ტრავმული მოვლენა* იყო მთელი საქართველოსა და ქართული საზოგადოებისთვის, ვინაიდან მას მოჰყვა მნიშვნელოვანი დანაკარგი - ათასობით ქართველის სიცოცხლე და ქვეყნის ტერიტორიების 20%. არაერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ტრავმა, ძირითადად, ქვეცნობიერში არსებობს და ხშირად მეხსიერება მას მსხვერპლად ეწირება; ამდენად, ტრავმული გამოცდილების, ტრავმული მეხსიერებისა და ისტორიული რეალობის ურთიერთმიმართების პრობლემებზე მსჯელობისას (რომელიც ცხადია, თავს იჩენს ომის ნარატივზე აგებულ სიუჟეტშიც), პრობლემის სახით განიხილება *სიმართლის, ჭეშმარიტების* დადგენის სირთულე. კულტურის სოციოლოგიის ცნობილი მკვლევარი, ჯეფრი ალექსანდერი მიიჩნევს, რომ კოლექტიური ტრავმა ჩნდება მაშინ, როცა გარკვეული ჯგუფი (ჩვენს შემთხვევაში, ეთნიკური ქართველები) განიცდის ტრავმული მოვლენის ზეგავლენას, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდება მათს მეხსიერებაში და საფუძვლიანად ცვლის მათს სამომავლო იდენტობას. ალექსანდერი არ გამორიცხავს, რომ საზოგადოებაში ტრავმის გამოწვევას ხელს უწყობს ტრაგიკული მოვლენების რეპრეზენტაციები, რომლებიც ხშირად, რეალობისგან დამორებულად შეიძლება იყოს: „ტრავმა არ არის შედეგი ჯგუფის ტკივილის გამოცდილებისა, ეს არის შედეგი მტკივნეული დისკომფორტისა კოლექტივის აზროვნებაში“ (Alexander, Eyerman, Giesen, Smelser & Sztompka, 2004: 6). რაც შეეხება ტრავმის დაძლევის მექანიზმებს, ალექსანდერის თანახმად, „ტრავმა უნდა გადაწყდეს არა საგნების სწორად განლაგებით სამყაროში, არამედ საგნების სწორად განლაგებით თვითშეგნებაში“ (Alexander, Eyerman, Giesen, Smelser, & Sztompka, 2004: 5).

ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეულ მოთხრობებში (გიორგი სოსიაშვილის „ანძა“, გურამ ოდიშარას „მმისშვილი“, მიხო მოსულიშვილის „არღარა ეყვილოს მამალსა“) ქართველი ერის კოლექტიურ ტრავმად წარმოჩენილია უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებული მოვლენები და მათი რეპრეზენტაცია, რასაც ებმის საკითხი, თუ რამდენად მართებულად, რეალისტურად წარმოაჩინეს მწერლებმა ომის ნარატივზე შექმნილ ნაწარმოებებში ომის/სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების რეალობა; როგორ ესახებათ მათ მოვლენების შემდგომი განვითარება; რა ზნეობრივი ღირებულებების მატარებლებად სახავენ თანამედროვე გმირებს, რომელთა ჭეშმარიტი სახე ექსტრემალურ სიტუაციაში ვლინდება; რა პრობლემების გასააზრებლად უბიძგებენ ომის ნარატივზე შექმნილი ნაწარმოებები მკითხველს და სხვ. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით თანამედროვე ქართველი მწერლების თვალთ დანახული აფხაზეთისა და

სამაჩაბლოს ტრაგედიების წარმოჩენას; მათ შორის არიან ისინი, ვინც მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდნენ და თავად გადაიტანეს ომის სიმძიმე (გიორგი სოსიაშვილი, გურამ ოდიშარია) და ისინიც, ვინც „შორიდან დანახული სიმართლით“ შეუერთდნენ ომის თემას (მიხო მოსულიშვილი). სწორედ ამ ნიშნით გამოვარჩიეთ ზემოთ აღნიშნული მწერლები, რომელთათვის ომი მათი შემოქმედების განმსაზღვრელ თემად იქცა; რომელთა მოთხრობებში ომის ნარატივი, მისი თანამდევი სისასტიკისა და ადამიანური სასოწარკვეთის წარმოჩენასთან ერთად, გმირის კონცეპტს მიემართება.

გიორგი სოსიაშვილი ორ ათეულამდე პროზაული კრებულის ავტორია (პირველ კრებულს - „მმათა მახვილი“ - ქართველი მკითხველი 1996 წელს გაეცნო). მწერლის შემოქმედების განმსაზღვრელ თემას რუსების ხელდასმით შიდა ქართლში გაღვივებული ეთნოკონფლიქტი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი წარმოადგენს, რომლის ფონზე წარმოჩენილია ყოფილ მეზობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს შორის განვითარებული რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე, ზოგჯერ ტრაგიზმით გაჯერებული მოვლენები. მოთხრობა „ანძა“ სიუჟეტური კონსტრუქციის თვალსაზრისით, არ არის რთული და ერთი შეხედვით, თითქოს ნაცნობიკა: საზღვრისპირა სოფელში მცხოვრები მეზობლებიდან, მორიგი ქეიფის შემდეგ, ერთ-ერთი - ვანკელა - რუსების მიერ მწვანე აბრით მონიშნულ საზღვარზე გადადის, რათა რუსული დროშის ფერებით განათებული ანძა გამორთოს - *„დაბინდებული იყო, კანთიელად ჩანდა, რუსული დროშის ფერები ადიოდ-ჩამოდიოდა, თითქოს ეს ანძა იყო ვანკელას მოთმინების ჯამში ბოლო წვეთი“* (სოსიაშვილი, 2021: 7). ვანკელამ აისრულა გულისწადილი - ანძა გამორთო, მაგრამ რუსი მესაზღვრეების ტყვეობაში აღმოჩნდა. მოთხრობის ნარატივი, კაკო, აღიარებს, რომ ამის შემდეგ მან მოსვენება დაკარგა; განსაკუთრებით ის აღიზიანებდა, რომ მთელი სოფელი ვანკელაზე ალაპარაკდა; სოფლის გამგებელიც, თითქოს მის ჯიბრზე ამბობდა: *„ზოგიერთებივით ქვეშ კი არ ჩაიფსა. ეუბნებიან საზღვრის გადაკვეთა აღიარეო, მაგრამ ჩემი ფეხები, არ აღიარებს“* (სოსიაშვილი, 2021: 16); თბილისიდანაც კი ჩამოვიდა ვიღაც „აყლაყუდა ბიჭი“ ვანკელაზე სატელევიზიო სიუჟეტის გასაკეთებლად. კაკო აცნობიერებს, რომ მას ერთი ნაბიჯი აშორებდა გმირობას, მაგრამ მან ვერ გაბედა ვანკელასთან ერთად საზღვრის გადაკვეთა; არადა, რომ გაებედა, მაშინ ხომ მასზეც ასე ილაპარაკებდნენ თანასოფლელები; *„მაგრამ იმ ერთი ნაბიჯის გადამდგმელი ხარ თუ არა, შენზე კარგად ვინ იცის ეს ამბავი?!“* (სოსიაშვილი, 2021: 16).

რამდენიმე დღეს კაკო მტანჯველ ფიქრებში გაატარებს და ბოლოს, თვითონაც მიიღებს საზღვრის გადაკვეთის გადაწყვეტილებას. პირველ წუთებში იგი აბსოლუტურად ბედნიერად გრძნობს თავს (*„საკუთარ თავზე გამარჯვება იცი რა არი? მაგაზე ძალაღი კვრცხლბეკი არ არსებობს“*), თუმცა, ეს სიტუაცია დიდხანს არ გაგრძელდება; კაკო რუსმა მესაზღვრეებმა აიყვანეს ტყვედ. რუსების სამხედრო ბაზის იზოლატორსა და ცხინვალის ციხეში ტყვეობა, დაკითხვები, წამება, გაუსამლისი პირობები, ცინიკური მოპყრობა ოკუპანტების მხრიდან, სიკვდილის შიში... კაკო ამას ვერ უძლებს. გამოსავლის ძიებას, საკუთარ თავთან კომპრომისს, საკუთარ სინდისთან გარიგებას (კერძოდ, საზღვრის კვეთის აღიარების დოკუმენტზე ხელის მოწერას) იგი მოლალატეობამდე მიყვას; მოლალატეობამდე არა ზოგადად, სამშობლოს, ქვეყნის წინაშე, არამედ უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან, საკუთარ სინდისთან: *„ჩემს თავზე ვბრაზობდი, ამ ჩემმა სიტრიპაჩემ, გმირობის სურვილმა სადამდე მიმიყვანა. იმას ვფიქრობდი, ვინც ხარ, ის უნდა იყო, არასოდეს არ უნდა ახტე სცენაზე და სხვა როლი არ უნდა მოირგო“* (სოსიაშვილი, 2021: 38). კაკოსგან განსხვავებით, ვანკელამ ყველა ტანჯვასა და დამცირებას გაუძლო; მართალია, მწერალი მასთან მიმართებით არ აღწერს დაწვრილებით, თუ რა აიტანა რუსების თუ ოსების ტყვეობაში ყოფნისას, მაგრამ იგულისხმება, რომ მანაც, სავარაუდოდ, იგივე წამების გზა გაიარა, რაც კაკომ. საბოლოოდ, ვანკელამ არც საზღვრის კვეთა აღიარა და არც დანაშაული, რომ რუსების ანძა გამორთო; ამიტომაც, მას ცხინვალის

ციხეში კარგა ხანი მოუწევს ყოფნა; ამის შესახებ ოსი ადვოკატი ვალერა ეუბნება კაკოს, როდესაც ხელს მოაწერინებს დანაშაულის აღიარების დოკუმენტზე.

გიორგი სოსიაშვილის გაანალიზებული მოთხრობა, ერთი მხრივ, შეგვიძლია განვიხილოთ როგორც რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ნარატივი, მაგრამ მეორე მხრივ, თუ გავცდებით ისტორიული კონტექსტის საზღვრებს, ნაწარმოები შეგვიძლია გავიაზროთ, როგორც ბოროტებასთან დაპირისპირებული ადამიანური შეუპოვრობის, სულიერი წინააღმდეგობის ოდა; როგორც ნარატივი, რომელიც აღწერს გმირის დაპირისპირებას ბოროტების ძალასთან, რომელიც ბევრად აღემატება მისას; როდესაც გმირს გაცნობიერებული აქვს, რომ ეს დაპირისპირება ძვირად დაუჯდება (შესაძლოა, სიცოცხლის ფასადაც კი); როდესაც გმირი ყველა რაციონალურ არგუმენტს განზე გადასწევს და მაინც სჩადის იმას, რასაც გული კარნახობს. ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებაში მოჭარბებული ნიჰილისტური განწყობების ფონზე, გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა, გარკვეულწილად, მთვლემარე მდგომარეობაში მყოფი სოციალური გამოფხიზლებასაც მიემართება, რომელიც ტრავმული მეხსიერების ჩახშობის, „დავიწყების ნებას“ მოუცავს; რომელსაც უჭირს მის გარშემო მყოფ ადამიანებში გმირების ამოცნობა, მომხმარებლურ საზოგადოებაში - სულიერების წარმოჩენა.

სავსებით გასაზიარებელია გიორგი სოსიაშვილის დაკვირვება, რომელსაც მოთხრობის პერსონაჟი ახმოვანებს: „*შვილების გზაზე დაყენებაზე რო ფიქრობ, ოჯახის დაპურებაზე რო ვითენდება და გილამდება, ეს კარგია, მაგრამ ამ ფიქრმა სამშობლოს გადავიწყებაც იცის. ეგრე გადაგავიწყდა, ეგრე მიწელდა მიწის სიყვარული. ჩვენი ოჯახი, ჩვენი შვილები, სარჩო-საბადებელი და სადღაა სამშობლო?*“ (სოსიაშვილი, 2021: 5). მართლაც, ძნელია სულიერებაზე ფიქრი, როდესაც ყოველდღიური ცხოვრების მორევი გითრევს, თუმცა, მეორე მხრივ, რთულია ცხოვრების გაგრძელება, როდესაც სინდისი გქენჯნის, როდესაც სიზმარშიც კი გაწუხებს დანაშაულის შეგრძნება (მოთხრობის კულმინაციას სწორედ კაკოს სიზმარი წარმოადგენს): „*ნაბიჯების ხმა ჩამესმა, ვიგრძენი, რო ჩემს უკან ვიღაც გაჩერდა. მივტრიალდი და ჯალათი იდგა, დიდი რუსული ცული ეჭირა ხელში. დავაკვირდი და მუხლები უარესად მომეკვეთა - მე ვიყავი ჯალათი, მე მეჭირა დიდი, გალესილი ცული და ჩემი თავი სიკვდილით უნდა დამესაჯა*“ (სოსიაშვილი, 2021: 32).

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა საინტერესოა ჟანრული თვალსაზრისითაც; იგი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც *ნეოთქმულება*. როგორც ცნობილია, კლასიკურ თქმულებაში იმთავითვე პოლარიზებულია სიკეთე და ბოროტება და წინააღმდეგობრივ დაპირისპირებაში ყოველთვის იმარჯვებს სიკეთე; გასაანალიზებელ მოთხრობაში კი, სიკეთე და ბოროტება საწყის კონფლიქტურ დაპირისპირებად არ მოიაზრება, რადგან დასაწყისში ჩვენ არ ვიცით თანასოფლელებიდან ვინ არის გმირი და ვინ - მოღალატე. დაპირისპირება სიუჟეტის განვითარებასთან ერთად იკვეთება. ამდენად, კლასიკურ იგავში იჭრება სულის დიალექტიკა, მისი თანამდევი სირთულითა და შეუთავსებლობით, და ამგვარად, მკითხველის თვალწინ წარმოჩინდებიან არა განსაზღვრული იდეების მატარებელი გმირები, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთა ფსიქოლოგია იცვლება გარკვეული გარემოებების კვალდაკვალ. სწორედ ამაში მდგომარეობს ნეოიგავის თავისებურება: მორალური პოსტულატები, ზნეობრივი გაკვეთილები თავად ცხოვრების მიერ არის შემოთავაზებული და ავტორი მხოლოდ პატიოსანი მემატინის პოზიციით შემოიფარგლება, რაც უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს ნარატივს.

ომის ნარატივზე საუბრისას (და მასთან მიმართებით, ჩვენთვის საინტერესო, გმირის/გმირობის პრობლემის გააზრებისას) გვერდს ვერ ავუვლით *გურამ ოდიშარას* ნაწარმოებებს. მწერალმა სოხუმი 1993 წლის 27 სექტემბერს დატოვა და სხვებთან ერთად, ფეხით გამოიარა კოდორის ხეობა, რომელსაც მოგვიანებით „გოლგოთის გზა“ უწოდეს. აღსანიშნავია, რომ გურამ ოდიშარას მიერ ომის თემაზე დაწერილი არაერთი ნაწარმოები

რეალურ ფაქტზეა აგებული; ამდენად, მწერლის მიერ წარმოჩენილ პერსონაჟებსა და გადმოცემულ ამბებს დამაჯერებლობა არ აკლიათ. იმასაც აღვნიშნავ, რომ გურამ ოდიშარია, სხვა ქართველი მწერლების მსგავსად, კონცეპტუალურად ავითარებს თავის ნაწარმოებებში იმ აზრს, რომ აფხაზეთის კონფლიქტში ჩართული ორივე მხარისთვის (ქართველებისთვის და აფხაზებისთვის) ეს ომი იყო სულიერების მარცხი; შესაბამისად, მის მთავარ გზავნილს მკითხველისადმი წარმოადგენს ის აზრი, რომ აფხაზეთის ომს გამართლება არა აქვს; მასში გამარჯვებული არავინაა.

ცხადია, ომის საშინელებების მნახველ კაცს ძნელია მოსთხოვო მაღალზნეობრივი კატეგორიებით აზროვნება, თუმცა გურამ ოდიშარიას მოთხოვნის - „*ძმისშვილი*“ - მთავარი გმირი, ვალერი, საომარ ვითარებაშიც ინარჩუნებს მთავარს - ადამიანურობას და გარკვეულ ზნეობრივ პოსტულატებს. ოცდაათი წლის ვალერის ომამდე იარაღი ხელში არც სჭერია; თუმცა, ომმა არჩევანი არავის დაუტოვა: „...*ყურმოჭრილი და ცხვირმოჭრილი გვამებიც იხილა, გრადით დაფლეთილი სხეულებიც, ცემით სიკვდილის პირას მიყვანილი ადამიანები, უთავო ტანებიც, „ბეემპეებში“ და ტანკებში ჩაფერფლილი, ჩექმისტოლად ქცეული მეზრძოლები...*“ (ოდიშარია, 2007: 235). მწერალი არ ცდილობს ომის რეალობის შელამაზებას. საკმაოდ მძიმეა ვალერისა და მისი თანამებრძოლების მიერ ქართველი მეომრის ტყვეობიდან გამოსხნის ეპიზოდის გააზრება; ამ უკანასკნელს ორი აფხაზი და ორი ადიღეელი აწამებდა: ფეხებზე ბენზინს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ; იმავდროულად, ტანზე წყალს ასხამდნენ, რომ მთლიანად არ დამწვარიყო, რომ მისი წამება მაქსიმალურად გახანგრძლივებულიყო. როდესაც ქართველებმა ტყვეობიდან გამოიხსნეს, მეომრის ფეხები თითის სისქის დანახშირებულ ჯოხებად ქცეულიყო. ვალერის და მის მეგობრებს ქართველმა ტყვედყოფილმა მხოლოდ ერთი სიგარეტი და ერთი ტყვიის გამეტება სთხოვა...

სიუჟეტის თანახმად, ერთ-ერთი შეტაკებისას ვალერის თანამებრძოლებიდან ყველა დაიღუპება; თავად ძლივს მოახერხებს ცეცხლმოდებული სახლიდან თავის დაღწევას და აფხაზების სახლში მარტოდდარჩენილი ორიოდე წლის ბავშვის გადარჩენას. იმავე საღამოს ტყეს შეფარებულ ვალერის ტყვედ აიყვანენ და ერთ-ერთი აფხაზი - გივი - ბავშვში თავის ძმისშვილს - დაურს ამოიცნობს. მისი ბიძაშვილი ადგური ვალერის ადგილზევე დახვრეტას ლამობს. მისი ვერსიით, ქართველმა ტყვემ დახოცა მისი მამიდეები, რომლებსაც ბავშვი ჰყავდათ ჩაბარებული; შემდეგ ცეცხლში ჩაწვა ისინი და ბავშვი გაიტაცა. თუმცა, ბავშვის ბიძა, გივი, მამამისის ოჯახში ვალერის ცოცხლად მიყვანას გადაწყვეტს, რათა უფრო მშვიდ ვითარებაში გაარკვიონ ყველაფერი. გზად, შურისძიების მიზნით, ვალერის მოკვლას რამდენიმე აფხაზი შეეცდება, თუმცა, გივი და ადგური შეძლებენ მის გადარჩენას.

აფხაზურ სოფელში ჩასული მეომრები პატარა დაურის ბაბუის - თარასხანის - ოჯახს მიადგებიან. აღმოჩნდება, რომ თარასხანის დები ცოცხლები არიან და იქ იმყოფებიან; რაც შეეხება პატარა ბავშვს, რომელიც ვალერიმ გადაარჩინა, იგი მეზობლების იმედად ჰყოლიათ დატოვებული და რომ არა ვალერი, ბავშვი უეჭველად დაიღუპებოდა. დაჭრილი ვალერი, როგორც ბავშვის გადამრჩენი, ოჯახის საპატივცემულო სტუმრად იქცევა: მას ჭრილობებს გადაუხვევენ, ავანშიმებენ... საყურადღებოა ვალერის და თარასხანის დიალოგი; ვალერი შეიტყობს, რომ მის მიერ გადარჩენილი ბავშვის დედა ქართველი ყოფილა (იგი დაურზე მშობიარობას გადაჰყვა), ხოლო დაურის მამა, მძიმედ დაჭრილი, ტყვარჩელში იმყოფება. მოხუცი აფხაზი ქართველ ტყვეს ეუბნება: „*განა შეიძლებოდა ამ ომის დაშვება?.. თუმცა, შენ რა შუაში ხარ, ჯარისკაცი ხარ, არც გივია დამნაშავე. არც ადგური. არც ერთი ხალხი არ არის დამნაშავე, ყოველი ხალხი მსხვერპლია ომისა... ერთ დროს აუცილებლად შერიგებაზე მიდგება საქმე და მაშინ ჩემი სიტყვა მოიგონე - პატიების უფლება მხოლოდ მსხვერპლს აქვს*“ (ოდიშარია, 2007: 240).

სისხამ დილით მოხუცი აფხაზი გააღვიძებს სტუმარს („უნდა იჩქაროთ, ყველას კი არ მოსწონს შენი აქ ყოფნა, დაგეძებენ უკვე“). გივი და ადგური სამშვიდობოს გააცილებენ ვალერის, ქართველთა პოზიციებისკენ გზას ასწავლიან; დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ გადაუხდიან მადლობას პატარა დაურის გადარჩენისთვის და ავტომატებსაც გაცვლიან: „...მოდით, გავცვალოთ იარაღი, შენს ავტომატს მე დავიტოვებ, ჩემი კი შენ გქონდეს. მოდი, ასე ძმებივით დავშორდეთ ერთმანეთს დღეს, მაგრამ თუკი ხვალ კიდევ მოგვიწია ბრძოლაში შეხვედრა, რას იზამ...“ - ამბობს გივი. ვალერი კი, იმედიანად ემშვიდობება: „დამთავრდება ეს ყველაფერი და ჩვენ კვლავ შეხვედრებით ერთმანეთს, მაშინ ყველაფერზე ვილაპარაკებთ“ (ოდიშარია, 2007: 243-244). ამგვარად, ნაწარმოების კონცეფციის თანახმად, ამ ომში ორივე მხარემ - ქართულმაც და აფხაზურმაც - არაერთი მსხვერპლი გაიღო გულწრფელი, ალალი ვაჟკაცების სახით. ამდენად, დასაფასებელია, გმირობის ტოლფასია, როდესაც ომში მყოფი მეომრები ადამიანურ სახეს ინარჩუნებენ, ზნეობრივი კატეგორიებით აზროვნებენ. მართლაც, როგორ უნდა გაემეტებინა ცოცხლად დასაწვავად ორი წლის აფხაზი ბავშვი მოთხრობის გმირს; საკუთარი სიცოცხლის ფასად (ხომ შეეძლოთ აფხაზებს ტყვედჩაგდებული ვალერის მოკვლა) მან ბავშვი გადაარჩინა და ეს, უდავოდ, გმირობის ტოლფასია.

გურამ ოდიშარია ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ქართველებიც და აფხაზებიც, საბოლოო ჯამში, მოტყუებულნი აღმოჩნდნენ; „მოტყუებულია ყველა ის, ვინც შურისძიებაზე ფიქრობს და ისიც, ვინც დღეს გამარჯვების მორიგ წლისთავს აღნიშნავს სოხუმში. იმის გააზრება, რომ მოტყუებული ხარ, საკუთარი შეცდომის აღიარებასაც გულისხმობს“ (გვახარია, 2004). როგორც ფსიქოლოგები და კონფლიქტოლოგები ამტკიცებენ, ის ადამიანები, რომლებმაც 1993 წლის სექტემბერში კოდორის ხეობა გამოიარეს, აფხაზების მიმართ გაცილებით ლოიალურნი არიან, ვიდრე ისინი, ვისაც აფხაზეთში არ უცხოვრიათ და დევნილთა უღელტეხილი არ გაუვლიათ. აქვე შევნიშნავთ, რომ ანალოგიური აზრი იკითხება გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებში, რომლებშიც მთავარ პერსონაჟებად გამოყვანილნი არიან ყოფილი მეზობლები, მეგობრები (ვგულისხმობ ქართველებსა და ოსებს). ყველა ვერ ახერხებს ადამიანობის ბეწვის ხიდის გავლას, თუმცა, ზოგი უძლებს ომის გამოწვევებს და ბოლომდე ინარჩუნებს ზნეობრივ სახეს. სამწუხაროდ, მშვიდობიანობის ჟამს მხოლოდ ერთეულები გრძნობენ სიყვარულის სიდიადეს, უმრავლესობას კი - რაღაც დიდი გასაჭირი სჭირდება თვალის ასახელებად. ვფიქრობ, ამ მოსაზრების ერთგვარ მხატვრულ გააზრებასაც წარმოადგენენ ზემოთ გაანალიზებული მოთხრობებიც.

უკვე მესამე ათწლეულია, რაც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს დრამატული დიალოგი, რომელიც გრძნობათა ფართო პალიტრას მოიცავს: სიყვარულიდან - სიძულვილამდე, ურთიერთდაახლოებიდან - სრულ გაუცხოებამდე; შესაბამისად, ზემოაღნიშნული ასახვას პოულობს მხატვრულ ლიტერატურაში. *მიხილეთ* მოთხრობას „არღარა ეყივლოს მამალსა“ უძღვნის კამანში დაღუპული ზურაბ წიქარაძისა და დემურ კარტოზიას ნათელ ხსოვნას „...და, რა თქმა უნდა, ამერიკის არმიის გენერალს, ჯონ მალხაზ შალიკაშვილს“ (მოსულიშვილი, 2007: 99). ავტორი გადმოგვცემს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ლევან შალიკაშვილის ისტორიას, რომლის ცხედრის მოსამებნად და გადმოსასვენებლად მამამისი, პეტრე შალიკაშვილი, გაემართება კონფლიქტის ზონაში. ცხადია, პეტრე სიძნელეებს აწყდება, რადგან მის შვილს მოწინააღმდეგე კარგად იცნობს *შეითან-გურჯის სახელით*; მან ხომ, უკანასკნელი ბრძოლისას მტრის ერთ-ერთი რაზმის თვრამეტი მეომარი გაისტუმრა იმქვეყნად. ამდენად, პეტრე იძულებულია, გაეროს წარმომადგენლის ყალბი საბუთებით გაემგზავროს თბილისიდან აფხაზეთში; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერც შვილის ცხედარს ჩამოსასვენებს და თავადაც დაიღუპება.

ლევანის ცხედრის მოძიებაში აქტიურად არიან ჩართულნი გაეროს ამერიკელი კაპიტანი ტომ სიბერი და ვიცე-პოლკოვნიკი ჯერი ადამსი. ისინი პატივისცემით არიან გამსჭვალულნი პეტრეს მიმართ ორი მიზეზის გამო: პირველი, რომ იგი ამერიკის არმიის გენერლის, ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის, ბიძაშვილია და მეორე, პეტრემ ჯერომ სელინჯერის შემოქმედებაზე ლექციათა ციკლი წაიკითხა ამერიკის რამდენიმე უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ მომენტში, როდესაც შვილთან გარეგნული მსგავსების გამო მოწინააღმდეგე მხარეს ეჭვი გაუჩნდება პეტრეს მიმართ და მის მოკვლას გადაწყვეტს, ამერიკელები მას არ მიატოვებენ და დიდი ძალისხმევით შედეგად შეძლებენ მოწინააღმდეგის დარწმუნებას, რომ მათი „თანამშრომლის“ მისიას ნამდვილად მიცვალებულთა გადასვენება წარმოადგენს.

აფხაზურ მხარესთან შეხვედრისას პეტრეს ყურადღებას მიიქცევს აფხაზების მოკავშირეების, ჩრდილოკავკასიელი მეომრების, უცნაური სამკაული; „ყველა შარაფში ვართ არყითა და ჰაშიშით, - გაიკრიჭა ოქროსკბილეებიანი, რომელსაც ადამიანის ყურებისაგან ასხმული მძივი ეკიდა ყელზე“; „...პირი გააწკლაპუნა ერთმა ყმაწვილმა, რომელსაც, ოქროსკბილეებიანისგან განსხვავებით, ძაფზე ასხმული, უკვე გამავეებული ძუძუსმოჭრილი კერტები ჩამოეკონწიალებინა ყელზე“ (მოსულიშვილი, 2007: 104-105). მართლაც, საზარელი ეპიზოდია, მით უფრო, თუ გავაცნობიერებთ, რომ ის სულაც არ წარმოადგენს მწერლის ფანტაზიის ნაყოფს და აფხაზეთის ომისდროინდელ ქრონიკებში დოკუმენტურად არის დაფიქსირებული ანალოგიური შემთხვევები. მოთხრობის კიდევ ერთი საზარელი ეპიზოდი კანიბალიზმს, კერძოდ, მოკლული მოწინააღმდეგის სისხლის დაღვევას უკავშირდება (რეალურად, მოწინააღმდეგის მხრიდან აღნიშნული ფაქტებიც დასტურდება აფხაზეთის ომის ქრონიკებში). ამ არაადამიანური საქციელის ჩამდენი აფხაზური მხარის ავღანელი მეთაური, წარმოშობით დაღესტნელი იბრაჰიმი. სწორედ მან დალია მომაკვდავი ლევანის სისხლი, რამაც შემდგომში მოსვენება დაუკარგა.

დაუნდობელი იბრაჰიმის სულიერი მეტამორფოზის მიზეზი სწორედ შეითან-გურჯის თავგანწირვა გამხდარა. იბრაჰიმი პარალელს ავლებს დაღუპული ქართველი მეომრის სულიერ სიმტკიცესა და საკუთარ თავს შორის. იგი აცნობიერებს, რომ ავღანეთში ანალოგიურ სიტუაციაში მყოფს (ანუ, რუსების მიერ ალყაში მოქცეულს), ლევანის მსგავსად, არ გაუწირავს თავი და ყუმბარა არ აუფეთქებია. თუმცა, ავტორი ერთ საყურადღებო მომენტზე ამახვილებს ყურადღებას; საქმე ის არის, რომ იბრაჰიმი წარმოშობით დაღესტნელია, მუჰაჯირთა შთამომავალია და მისი ოჯახი მუჰაჯირობის დროს გადაუსახლებიათ ავღანეთში. სწორედ იქ მოუწია ბრძოლამ რუსების წინააღმდეგ და კრიტიკულ მომენტში ვერ გაიმეტა საკუთარი სიცოცხლე, რადგან ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ავღანეთი არ იყო მისი მშობლიური მიწა. ლევანისთვის კი, აფხაზეთში ბრძოლის მოტივაცია სხვაა - ის საკუთარ მიწას იცავს. იბრაჰიმი პეტრეს უყვება, როგორ წამოიწყო სიმღერა ალაშემორტყმულმა, სასიკვდილოდ განწირულმა ლევანმა: „კარგად იბრძოდა და ბევრიც მოგვიკლა. მერე სროლა შეწყდა და სიმღერა შემოგვესმა - რაღაც სხვანაირი, სულის შემძვრელი - ასე მამაჩემი მღეროდა, როცა ძალით გვასახლებდნენ ჩერქეზეთის მთებიდან უდაბნოში... მივხვდით, ტყვიები გაუთავდა. ხუთი ჩვენიანი შემოერთყა... თავიც აიფეთქა და ის ხუთიც შეიწირა... შეშლილი ვიყავი, - ჭკუიდან გადასული! აი, ეს რქის სასმისი გავავსე იმისი სისხლით და შევსვი... ზიზღით დამანჭა სახე, ერთხანს დაჟინებით დამაცქერდა და წვალებით მითხრა: „შენც ჩემსავით იბრძოლებდი, ურჯულოო!“ ასე მოკვდა... რამდენჯერაც სიზმარში ვნახავ, ამ სიტყვებს მიმეორებს“ (მოსულიშვილი, 2007: 116).

იბრაჰიმ ბეკ-იდრისოვი - „რუსების ვოლიერში გამოყვანილი ნადირი“ - შეძრა მოწინააღმდეგის ვაჟკაცურმა სიკვდილმა; მან უარი თქვა სისხლის დაღვევის ტრადიციაზე: „ეს შენთვის მიჩუქნია, გიაურო! ამიერიდან იბრაჰიმ ბეკ-იდრისოვი არავის სისხლს აღარ დაღვეს!“ (მოსულიშვილი, 2007: 117). აქვე შევნიშნავ, რომ მოთხრობის ეს

ეპიზოდი რემინისცენციულად გადაგვამისამართებს ვაჟას „აღუდა ქეთელაურთან“ (ვგულისხმობთ ალუდასა და მუცალის შებრძოლების შემდეგ ალუდას სულიერ მეტამორფოზას). ცხადია, იბრაჰიმ ბეკ-იდრისოვს არ გამოეპარა პეტრეს გარეგნული მსგავსება ლევანთან. იგი თავიდანვე მიხვდა, რომ მასთან მისული კაცი შეითან გურჯის მამაა, მაგრამ მას კმაყოფილებას ანიჭებს იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ არც პეტრე აღმოჩნდა თავისი ვაჟკაცი შვილის დარი, რადგან საფრთხის წინაშე მდგომმა, უარყო ლევანის მამობა. მოგვიანებით, ეს პეტრეს სულიერი ტანჯვის მიზეზი გახდა; მას მოსვენებას არ აძლევს მისგან უარყოფილ შვილზე ფიქრი და გამუდმებით თავში უტრიალებს იოანე მახარობელთან ამოკითხული სიტყვები: „არღარა ეყვილოს მამალსა, ვიდრემდის უვარ მყო მე სამგზის“; იგი ფიქრობს, რომ ანალოგიურ სიტუაციაში ლევანი ასე არ მოიქცეოდა და მის შვილობას არ უარყოფდა. ამგვარად, ავტორისეული კონცეფციით, თავისი ვაჟკაცობით, ლევანმა არა მხოლოდ იბრაჰიმი, არამედ მამამისიც დაჯაბნა. მოთხრობის დასასრულს იბრაჰიმი ლევანის ჯარისკაცის ჟეტონს თავის ჟეტონთან ერთად ჩამოიკიდებს მკერდზე და თანარაზმელს აიძულებს, გადაადგოს კანიბალური ყელსაბამი.

ვფიქრობ, ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებში მწერალს სულაც არ მოეთხოვება ისტორიოგრაფიული სიზუსტით საომარი მოქმედებების აღწერა; უფრო მნიშვნელოვანია, რომ მკითხველმა არ იუცხოვოს ნაწარმოებში წარმოჩენილი გმირები; რომ ლიტერატურულ პერსონაჟებში (მათ ქცევებში, საუბარში, მანერებში...) ზოგჯერ საკუთარი ახლობლების, ნაცნობ-მეგობრების ამოცნობაც კი, შეძლოს. ემპირიულ სინამდვილემდე დაყვანილი გმირის წარმოჩენით მწერალი, ერთი მხრივ, დღევანდელი მწვავე კითხვებზე იძლევა პასუხს და, მეორე მხრივ, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მისი ნაწარმოების გმირის საქციელი (ვანკელას, ვალერის თუ ლევანის) უკვალოდ არ გაქრება; აუცილებლად გამოჩნდება ვიღაც, ვისთვისაც მათი საქციელი მისაბამი გახდება.

დასკვნები. ამგვარად, ომის ნარატივის ჭრილში თანამედროვე ქართველი მწერლების, მოთხრობების გაანალიზებამ შესაძლებლობა მოგვცა, წარმოგვეჩინა ძირითადი ტენდენციები საკვლევ პრობლემასთან მიმართებით:

- გიორგი სოსიაშვილის, გურამ ოდიშარასა და მიხო მოსულიშვილის ზემოთ გაანალიზებული მოთხრობების სიუჟეტი წარმოადგენს ერთგვარ ფონს პიროვნების შინაგანი სამყაროს, მისი ცნობიერი და არაცნობიერი შრეების შეუღლამაზებლად წარმოსაჩენად ადამიანისთვის ყველაზე რთულ მომენტში - სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არჩევნის გაკეთებისას;
- გაანალიზებულ ნაწარმოებთა კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ გმირები დღესაც არიან; მათ ხშირად ვერ გამოარჩევენ საზოგადოებაში და მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში (კერძოდ, ომის პირობებში) ვლინდება მათი ჭეშმარიტი სახე;
- გიორგი სოსიაშვილის, გურამ ოდიშარასა და მიხო მოსულიშვილის მოთხრობები მკითხველს უბიძგებს იმ პრობლემის გასააზრებლად, თუ რა თვისებები განაპირობებს პიროვნული პროფილის, ადამიანობის შენარჩუნებას ყოვლად არაადამიანურ, საომარ პირობებში, მძიმე განსაცდელის ჟამს; შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, გაიაზროს საზოგადოების ცხოვრებაში არა მხოლოდ ზოგადადამიანური ცნებების - სულიერება, მორალური ვალი, თვითმეგნება, ვაჟკაცობა - მნიშვნელობა, არამედ გამოკვეთოს გარდასულ დროთა ისტორიასთან კავშირიც (შეგვახსენოს, რომ „ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს“- ლადო ასათიანი).

გამოყენებული ლიტერატურა

- გვახარია, გ. (2004 წლის 27 აგვისტო). *მშვიდობა ვაჟკაცების საქმეა*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1537393.html>
- მოსულიშვილი, მ. (2007). არღარა ეყივლოს მამალსა. წიგნში: *ხიდი. Ацха. Мост*. (გვ. 99-120). თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ოდიშარია, გ. (2007). ძმისშვილი. წიგნში: *ხიდი. Ацха. Мост*. (გვ. 212-245). თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- სოსიაშვილი, გ. (2021). ანძა. წიგნში: *ჩრდილების თეატრი. მოთხრობები*. (გვ. 3-43). გორი: გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Alexander, J., Eyerman, R., Giesen, B., Smelser, N. J., & Sztompka, P. (2004). *Cultural Trauma and Collective Identity*. Published by: University of California Press.

REFERENCES

- gvakharia, g. (2004 ts'lis 27 agvist'o). *mshvidoba vazhk'atsebis sakmea [Peace is the work of brave men]*. Retrieved from <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1537393.html>
- mosulishvili, m. (2007). arghara eqivlos mamalsa [Let the cock crow no more]. In the book: *khidi. Ацха. Мост [The Bridge]*. (pp. 99-120). Tbilisi: Publishing House „Universali“.
- odisharia, g. (2007). dzmisshvili [Nephew]. In the book: *khidi. Ацха. Мост [The Bridge]*. (pp. 212-245). Tbilisi: Publishing House „Universali“.
- sosiashvili, g. (2021). andza [The mast]. In the book: *chrdilebis teat'ri. motkhrobedi [Theater of Shadows. Stories]*. (pp. 3-43). Gori: Gori University Publishing House.
- Alexander, J., Eyerman, R., Giesen, B., Smelser, N. J., & Sztompka, P. (2004). *Cultural Trauma and Collective Identity*. Published by: University of California Press.